საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/103

ქ. ბათუმი **27 დეკემბერი, 2017**

ბსუ-ში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის №05 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ში 2017-2018 წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით დაევალოთ:
   1.1. ფაკულტეტის დეკანებს:
   ა) ფაკულტეტზე და საგამოცდო ცენტრში ჩასატარებელი გამოცდების განრიგის (საგნის, საგნის ლექტორის, დამკვირვებლის, გამოცდის დროის, ადგილისა და აუდიტორიის მითითებით) წარმოდგენა 2018 წლის 10 იანვრამდე;
   ბ) ყოველ მომდევნო კვირაში ჩასატარებელი გამოცდების შესაბამისი საგამოცდო მასალისა და საგამოცდო ბილეთების შინაარსობრივი და ხარისხობრივი შემოწმების ანგარიშის წარმოდგენა;
   გ) სტუდენტთა დასწრების ფურცლების შემოწმება და სტუდენტთა გამოცდებზე დაშვების საკითხის მონიტორინგი;
   1.2. საგნის ლექტორს (აკადემიურ/მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალს):
   ა) საგამოცდო პროცესზე დასწრება;
   ბ) გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღით ადრე იმ სტუდენტთა სიის (თითოეული ჯგუფის მითითებით) მიწოდება დეკანატის და საგამოცდო ცენტრისთვის, რომლებმაც მოიპოვეს გამოცდაზე დაშვების უფლება;
   1.3. საგამოცდო პროცესში ჩართულ პირებს - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 05 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციით“ ხელმძღვანელობა;

1.4. გამოცდების ჩატარებაზე მონიტორინგი - ხარისხის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურებს; სასწავლო პროცესის დეპარტამენტს; საგამოცდო ცენტრს; შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებს და მოადგილეებს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს;

1.5. ფაკულტეტის დეკანებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს - გამოცდების პერიოდში, ყოველდღიურად უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ სამსახურებრივი ბარათები გამოცდების მიმდინარეობის შესახებ;

1.6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - გამოცდებისათვის განკუთვნილი აუდიტორიებში ვიდეოთვალების დამონტაჟება;

1.7. მატერიალური რესურსების მართის დეპარტამენტს - გამოცდებისათვის განკუთვნილი აუდიტორიების შესაბამისი აღჭურვა (ტექნიკა, ინვენტარების შესაბამისი განლაგება, წყლის დისპენსერები თითოეულ აუდიტორიაში);

2. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ა. ბერიძე) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ჯ. ანანიძე).

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობის პირებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**